ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3608408

ნომერი: AR1545890

თარიღი : 10.10.2017

გაცემის თარიღი : 13.10.2017

გაცნობის თარიღი : 13.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭანტურია , N 12 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭანტურია , N12-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ფირცხალაიშვილი პ/ნ 01010012926
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 8 ბ. 37

ორგანიზაცია:

- livein ლივინი კოდი: 404453462

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2892042
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 21.10.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ

თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 10 ოქტომბრის AR1545890 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჭანტურიას ქ. N12/ჭანტურიას ქ. N12ის მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) დადასტურების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ, წარმოდგენილი უნდა იქნეს:

1. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები კოეფიციენტის გაანგარიშებით;
2. ანაზომები, დამოწმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ;
3. მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტების გრაფები არასწორადაა შევსებული (მითითებული უნდა იყოს 15.07.2014 წლის ბრძანება №1382460);
4. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, N 01.15.04.008.029 საკადასტროს მესაკუთრეა შპს „LIVEIN ლივინ“, რომლის ხელმძღვანელებს წარმოადგენენ დავით ფირცხალაიშვილი და შალვა აბრამიშვილი. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შალვა აბრამიშვილის მინდობილობა/თანხმობა, ან შესაძლებელია დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.